პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის ---- ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ს. ჯოლოხავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე ვ.ჟორჟოლიანი

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
TSKALTUBO MUNICIPALITY PUBLIC HELTH CENTER
384054 ქ.წყალტუბო რუსთაველის ქ.N25
384054, GEORGIA TSKHALTUBO RUSTAVELI ST N25
ტელ. (0436) 22–28–08 მობ.(599) 971745

58-34-2-202607091355

N 34/58

09.07.2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ა(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2026 წლის I-II კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი თან ერთვის

პატივისცემით

მანანა ტყეშელაშვილი

მმართველი

ანგარიში

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2026 წლის I-II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 საშტატო ერთული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის საშტატო ერთეული.

2026 წელს I-II კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,C''-24 შემთხვევა
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,B''-7 შემთხვევა
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი ,,B" -3 შემთხვევა
სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარიის - 28 შემთხვევა
ბრუცელოზი -5 შემთხვევა
სავარაუდო საკვების მიერ მოშხამვა-37 შემთხვევა
ჩუტყვავილა -28 შემთხვევა
ლაიმის დაავადება (ბორელიოზი)-8 შემთხვევა
ტუბერკულოზი -6 შემთხვევა.
ქუნთრუშა 3- შემთხვევა
ლეპტოსპიროზი- 20 შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2026 წელს I-II კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ) ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :

დიფტერია,ყივანახველა,ტეტანუსის საწინააღმდეგო- 129 აცრა
წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-141 აცრა
ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო- 112 აცრა
როტარიქსის საწინააღმდეგო - 60 აცრა
პნევმოკოკური ვაქცინით -144 აცრა
პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით- 220 აცრა
ჰექსაქსიმის ვაქცინით- 120 აცრა
ანტირაბიული -292 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან ვაქცინებით.

C ჰეპატიტის ტესტირება გაუკეთდა 311 ბენეფიციარს, აქედან პირველადი 9 დადებითი 0.

კურორტში შემოვიდა მთავრობის განკარგულება N 233 რომელიც ითვალისწინებს კურორტის ტერიტორიაზე მაღალი რისკის შემცველ დაწესებულებებში: C ჰეპატიტით სკრინინგს, B ჰეპატიტის ვაქცინაციას. დავადგინეთ კონტიგენტი გამოვითხოვეთ

იმერეთის ზონალური სამსახურისგან C ჰეპატიტის სკრინინგ მასალა და B ჰეპატიტის ვაქცინა. სახელმწიფო პროგრამაში უფასოდ ჩაირთო B ჰეპატიტით ინფიცირებული პაციენტები.

სკრინინგით სრულად მოვიცავით სასტუმროები, N2 და N6 აბაზანების პერსონალი. B ჰეპატიტით ვაქცინა მოთხოვნის შესაბამისად მიეცათ წყალტუბოს რაი საავადმყოფოს ამცრელ კაბინეტს და პოლიკლინიკა,, დიომედს" მოთხოვნისამებრ.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი 2026 წელს I-II კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვლეული იქნა 313 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 71 პაციენტს, ასკარიდა 1, უარყოფითი 241. ექიმ პარაზიტოლოგის მიერ გაიცა დანიშნულება.

2026 წელს I-II კვარტალში ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონები. ასევე შემოწმებული იქნა საბავშო ბაღების სან ჰიგიენური მდგომარეობა. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე კიბოს საერთაშორისო დღე, ტუბერკულოზის, ჯანმრთელობის მსოფლიო დღე, მალარიის მსოფლიო დღე, ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე, მსოფლიო თამბაქოს გარეშე ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

2026 წლის 30 აპრილს სოფ. გეგუთის პოლიკლინიკაში და 2026 11 ივნისს სოფ. ოფურჩხეთის ამბულატორიაში ჯანმრთელობის ცენტრ ,,ჰერას" მიერ ჩატარდა მოსახლეობის მასიური სკრინინგი ძუძუს კიბოს 40-70 წლის ქალბატონებში 135 მოქალაქე, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ქალბატონებში 48 მოქალაქე, PSA (პროსტატა) ტესტის განსაზღვრა ვენური სისხლით 50-70 წლის მამაკაცებში 30 მოქალაქე, ასევე ,,C"-,,B" შიდსის სწრაფი ტესტი გაუკეთდა 190 მოქალაქეს, გულკოზის განსაზღვრა სისხლში 101 მოქალაქე, ჰიპერტენზია (წნევის გაზომვა) 190 მოქალაქე.

2026 წლის 14 ივნისს ჩატარდა ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის მიერ სოფ. გეგუთის პოლიკლინიკაში დონაციის დღე.

2026 წელს I-II კვარტალში ენტომოლოგის ანგარიში. შემოწმებული და დამუშავებული იქნა ქალაქის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჭაობების, ღია და დახურული წყალსატევები საკადასტრო რუქის შექმნით. ასევე შემოწმებულ იქნა ქალაქის ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებლის სარდაფები.

10 ივნისს ჩატარდა სოფ. ქვილიშორის, სოფ. წყალტუბოს ლორთქიფანიძის #18 და ვარციხესის დაჭაობებულ ტერიტორიაზე გამბუზირება.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2026 წელს I-II კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

№	პარაგრაფის დასახელება	გეგმა	ფაქტიური
1	თანამდებობრივი სარგო	118560	113061
2	ოფისისათვის საჭირო საგნები	25566	17340,61
4	კომუნალური (დენი გაზი, წყალი)	5053	2767,91
5	სხვა ხარჯები	4045	857,64
6	ავტო სათადარიგო	4000	2805,99
7	საწვავი	4500	2632,83
	ჯამი	161724	139465

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მმართველი: მ. ტყეშელაშვილი.

22128025 4